№ 653 ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი. 1896—1898 ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი № 653

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო. ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ მეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

ქარხანა იღებს პირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—42)

## წიგნის მაღაზია
### მიხეილ გაჩეჩილაძისა

(იგივე „გლეხის" ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით
დ. ყვირილაში, ჩუბინიძის სახლში

წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია

მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს **წიგნების საკაზმავი სახელოსნო**, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლიანს მთგვმართოს შემდეგის ადრესით:
Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—12)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხ. გამავ. საზ. წიგნის მაღაზიაში

## ქართული საერო და სასულიერო კილოები

შედარების ნიმუშებით

მღვდ. პ. კარბელაშვილისა

ფასი 20 კაპ. (10—10)

გიმნაზიაში სწავლა დამთავრებული

## ქართველი ქალი

იაფად ამზადებს ორისავე სქესის ბავშვებს ყოველგვარ საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებში შესასვლელად.

იკითხონ „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ს. ყ.

Окончившая гимназію

## ГОТОВИТЪ

**за умѣренную** плату дѣтей обоего пола въ младшіе классы всѣхъ среднеучебныхъ заведеній.

*Спросить въ редакціи «Цнобисъ Пурцели».* (10—2)

## Готовлю

въ землемѣрное и техническое училище, въ учит. институтъ и на вольноопредѣляющагося.

*Подъ Давидомъ, 2-я Овражская, № 2.*
**Грязновъ.** (4—4)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
## БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (Წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** ზოგი აფთიქრების საქციელი. ამ ორი კვირის წინად რუსეთის ფარმაცევტის საზოგადოებამ დაუგზავნა ყველა აფთიქრებს ეგრედ წოდებული კითხვის ბარათი (опросной листъ) და სთხოვა, რომ ყველა თქვენს მოსამსახურეებთ დაურიგეთ ეს ბარათები, რადგან მათ ყოფა-ცხოვრებას შეეხება და როცა ყოველ კითხვაზე ისინი პასუხს აგებენ, მაშინ გამოგვიგზავნეთ ჩვენ, რათა ამ პასუხებით ვიხელმძღვანელოთ და საერთო რამ ცვლილება შემოვიღოთ აფთიქებში მოსამსახურეთათვის, განსაკუთრებით დღიური მუშაობის შესამოკლებლადო და სხვა.

ზოგიერთ აქაურ თუ პროვინციის აფთიქრებს, თურმე, არ ეჭაშნიკათ ეს ამბავი და დღემდე კრინტსაც არ იღებენ. თავიანთ მსახურთათვის არა თუ დაურიგებიათ ზემოდხსენებული ბარათები, არამედ არაფერი უთქვამთ, რა არის ისევ იმ აუტანელს მდგომარეობაში ვიყოლიოთ მოსამსახურენი, როგორც დღემდე გვყავდაო... მაგრამ ტყუილი ანგარიში გამოუვიდათ: ეხლა თითქმის ყველგან იციან, რომ ასეთი ბარათები დაგზავნილია და ექვი არ არის, თვით მოსამსახურენი მოსთხოვენ მეაფთიქრებს ხსენებულ ბარათებს.

*** ახალი ისტორიული გამოკვლევანი. პროფესორს ნიკოლოზ მარს დაუბეჭდია ორი წიგნი საქართველოს შესახებ: 1, „სიბრძნესიცრუე ბალავარისა", ისტორიული გარჩევა. 2, „ეტიმოლოგია ორის ტერმინისა", ე. ი. სომხურ ქართული ენის ურთიერთ დამოკიდებულებაზე.

*** „სიბრძნე-სიცრუე ბალავარისა" სტუდენტს ჯავახიშვილს რუსულს ენაზე გადაუთარგმნია და სამეცნიერო აკადემიას ცალკე წიგნად დაუსტამბავს.

*** **ქალაქის საქმეები.** 12 ოქტომბერს ქალაქის საბჭომ, სხვათა შორის, დაადგინა: აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა სამოსწავლო მთავრობის წინაშე ავლაბარში კლასიკური პროგიმნაზიის დაარსების შესახებ, რომლის შესანახად ყოველ წლივ უნდა გადაიდვას 6,000 მან. ქალაქის საზოგადო შემოსავლიდან. გარდა ამისა საბჭომ მოიწონა ქალაქის მოურავის წინადადება ქ. ტფილისის ისტორიის შედგენის შესახებ და მიანდო გამგეობას შეადგინოს საგანგებო კომისიასთან ერთად სარედაქციო კომიტეტი და აირჩიოს უმთავრესი რედაქტორი ამ ისტორიის შესადგენად.

*** **სემინარიელთა ქადაგებანი.** 11 ოქტომბერს ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში ქადაგება წარმოსთქვა რუსულ ენაზე მეექვსე კლასის მოწაფემ ბიქ. ბერიძემ. მან თავის ქადაგებაში გრძნობიერად და ცხოვლად დაგვიხატა წმ. მოწამეთა ცხოვრება. დიდი მადლობის ღირსია მ. რექტორი ჰერმოგენი, რომ მომავალ სამღვდელო პირებს თავიდანვე, ყმაწვილობიდანვე აჩვევს ისეთს დიდსა და სიმპატიურს საქმეს, როგორიც არის ქადაგება. შარშან და იქითა წლებში სემინარიის მოწაფენი სექტემბრიდანვე დაწყებული კვირა-უქმე დღეებში დადიოდნენ ტფილისის სხვა-და-სხვა ეკკლესიებში საქადაგებლად ქართულს ენაზე. ამ წელს-კი ჯერ-ჯერობით არას ვხედავთ. იმედია, რომ ახალი რექტორი სემინარიისა არ დაუშლის თავის მოწაფეებს, გარდა სემინარიის ეკკლესიისა, სხვა-და-სხვა ეკკლესიებშიაც წარმოსთქვან ხოლმე ქადაგება კვირა-უქმე დღეებში.

*** **ნიხრი ხორცზე.** ქალაქის გამგეობამ კითხვა აღძრა ხორცზე ნიხრის დადგენის შესახებ.

*** **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოქმედება.** 1-ლ იანვრიდან 1-ლ სექტმბრამდე ამიერ-კავკასიის რკინის გზით უმოგზაურია საზოგადო ტარიფით 855,861 კაცს ქალაქის ტარიფტით 1.087,101 კაცს, სამხედრო ტარიფით 43,707 კაცს; გადაუტანიათ 98,313,663 ფუთი საქონელი. მთელი შემოსავალი ამ რვა თვის განმავლობაში უდრის 12.695,760 მანეთს, ამ რიცხვში მგზავრების გადასახადი უდრის 1.281.502 მანეთს, საქონლისა— 10.270,024 მან. სხვა წყაროებიდან შემოსულა 1.144,234 მ. შარშანდელთან შედარებით მგზავრების რიცხვს უმატნია 483,9112-ით, საქონლის რაოდენობას 5,288,000 ფუთით. შემოსავალს უკლია შარშანდენლთან შედარებით 1.667,000 მანეთით, რაც გამოუწვევია ნავთზე ტარიფის შესამჩნევ შემცირებას.

*** **თავის დაწვა.** 12 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ქ. თავრიზის მცხოვრები კასუმ-ჰაჯი-მამედ-ოღლი მივიდა გზათა უწყების სამმართველოში ინჟინერ იარალოვთან, რომლისგანაც უნდა მიეღო 186 მან. ალექსანდროვ-ერევნის გზისათვის ხვინჭკის მომზადების ქირად. ინჟინერ იარალოვისაგან მთხოვნელს ვერას გზით ვერ მიეღო ფული. მის მისაღებად ის არა ერთხელ მისულა იარალოვთან, თითქმის რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველ დღე. ბოლოს 12 ოქტომბერს, რაკი მაინც კიდევ ვერ მიიღო ფული, გადასწყვიტა თავის მოკვლა, რის გამო აღნიშნულ საათზე უარის შემდეგ გამოეხვია განავთულ ჰილობში და სამმართველოს შესავალთან ცეცხლი წაიკიდა. ჰილობი წამსვე აინთო და კაცი საგრძნობლად დასწვა. მაშინვე ამ შემთხვევაზე გაჩნდა ქუჩის დარაჯი და დამწრეთა დახმარებით სიკვდილს გადაარჩინა კასუმი, რომელიც წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, სადაც მას აღმოუჩინეს სამკურნალო დახმარება. ექიმების სიტყვით, დამწვარის სიცოცხლე განსაცდელშია.

*** **მკვდარი კაცის ნახვა.** 10 ოქტომბერს, პოლიციის მე-6 ნაწილში დაბახანის ხრამში ნახეს მიწაში ჩაფლული მკვდარი კაცი, რომელსაც ყელი ჰქონდა გამოჭრილი. მოკლული, როგორც პოლიციამ აღმოაჩინა, ყოფილა ვიღაც მოკსოვი. მკვლელობა ჩაუდენიათ, როგორც სჩანს, შურისძიებით, რადგან მოკლულს თან უნახეს ფული, სათუთუნე და სხ. მოკლული ყოფილა ქალაქის დამგველი. მკვდარი გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში.

*** **სასტუმროს პატრონის თავგასულობა.** ქალაქს გარეთ არსებობს სამი სასტუმრო, ერთი ამათგანი ორზე უარესია. ვერ წარმოიდგენთ, რა თავ-გასულნი არიან აქ ყველანი, დაწყებული სასტუმროს პატრონიდან უკანასკნელ მოსამსახურემდე. არც ერთ საჭმელს აქ საკუთარ სამზარეულოში არ ამზადებენ. თუ ამაზე რაიმე შენიშვნას გაუბედავთ, შეკაზმული ცხენი კარებზე უნდა გედგათ, რადგანაც ცემას დაგიპირებენ და უშვერის პირით გაგლანძღავენ. ურიგო არ იქნება, ამნაირი სასტუმროების პატრონებს და მოსამსახურეებს პოლიცია ალაგმავდეს და ერთხელ და სამუდამოდ აღუკრძალავდეს ვაჭრობას.

*** **ვაზის მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში.** საფილოქსერო კომიტეტის ცნობებიდან სჩანს, რომ ინსტრუქტორებს რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში გაუშინჯავათ ვენახები შვიდ სოფელში, სულ 293 ვენახი. ფილოქსერა აღმოუჩენიათ სოფ. საკეცალსა და ქვაცხუთში. სხვაგვარი ავადმყოფობა არ ყოფილა. წესიერად ნაწამლი ვენახებში, და თუ ყოფილა, ძალიან ნაკლებად და უმეტესად ნაცარი. ხოლო ნაკლებად ნაწამლ ან სრულიათ უწამლავ ვენახებში ვაზის ავადმყოფობას ძლიერ მოუდგამს ფესვები გარდა ნაკორისა, ბევრგან ყოფილა ჭრაქი და ანტრაკნოზა. შორაპნის მიწაში უნახავთ სამივე გვარი ავადმყოფობა, მაგრამ ანტრაკნოზა არა ყველგან და ისიც ნაკლებად. ამერიკული ვაზი ყველგან მშვენივრად გაზრდილა. მრავალი მევენახე შესდგომია ნადის მომზადებას ამერიკულ ვაზის ჩასაყრელად; ქუთაისის უფრო გავრცელებული ყოფილა ვაზის ავადმყოფობა, ვიდრე შორაპნისაში, განსაკუთრებით გაძლიერებულა უწამლავ ვენახებში. ყველაზე უფრო ძლიერ ვენახებისთვის უექიმებიათ სოფ. სვირისა, დიმისა და ბალტულის საზოგადოებებში ამ სოფლების მცხოვრებნი ყველაზე უფრო ეტანებიან ამერიკულ ვაზის მოშენებასაც, რომელსაც აქ ძალიან უვარნია.

*** **ს. ზანა** (სამეგრელო). **ეპისკოპოსის ჩამობრძანება.** პარასკევს, 2 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე შეიქნა ეკკლესიაში ზარების რეკა და დიდხანს გაგრძელდა, ამ ზარების რეკის გაგრძელებამ ჩვენი ყურადღება მიიქცია. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდნენ რამოდენიმე ცხენოსანნი: წინ მოდიოდა ბლაღოჩინი-მღვდელი კ. ბერიძე, შემდეგ დავინახეთ ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, მთავარ დიაკონი ლ. ხოშტარია და სხვა კრებულნი. საკვირველი ის იყო, რომ ჩხცოვანი ეპისკოპოსი ისე ლამაზად იჯდა ცხენზე, როგორც კარგი მხედარი და 18—20 ვერსის მანძილზე უშიშრად წამობრძანებულა მაშინ, როდესაც გზები ისეთი იყო, რომ სიარული მასზე მეტად გასაჭირი იყო, რადგან თითქმის ერთი კვირის განმავლობაში აქეთკენ საშინელი წვიმები იყო. ყოვლად სამღვდელო პირდაპირ ბლაღოჩინის კ. ბერიძის სახლში წაბრძანდა. მეორე დღეს, ე. ი. 3 ოქტომიერს, სწირა აქაურ დიდ ზანის მაცხოვრის ეკკლესიაში ბლაღოჩინი მღვდელი კ. ბერიძის და სხვათა სამღვდელოებათა თანამსახურებით; წირვა, რასაკვირველია, შესრულდა ქართულს ენაზედ და გალობდა არქიელის ქართული გუნდი (მათს რიცხვში გამოჩენილი მგალობელი ბ. დ. ჭალაგანიძეც იყო, წირვის შემდეგ ეპისკოპოსმა მსმენელთ მიჰმართა მოკლე სიტყვით, რომლითაც აუწყა მათი ნაკლულოვანება და ბოლოს სთხოვა, აეშენებიათ ქვის ტაძარი. ამის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ პანაშვიდი გარდაიხადა ამ წლის 12 ივლისს გარდაცვალებულის პოდპორუჩიკის თ. კონსტანტინე ქაიხოსროს ძე აფაქიძის საფლავზე ეკკლესიაში. პანაშვიდის შემდეგ თ. აფაქიძემ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მსმენელთ გააცნო განსვენებულის ცხოვრება. ყოვლად სამღვდელომ მადლობა გადაუხადა ამისთანა კაცის გაცნობისათვის და ბრძანა: „მე არ მეგონა თუ ამისთანა ღვთის მოყვარე კიდევ მოიპოვებოდა ჩვენში; ღმერთსა ვთხოვ რომ ბევრი მისთანა გამოსულიყოს აწმყოში თქვენ შორისაო. ყოვლად სამღვდელოს მრავალთა თავიანთ მიცვალებულის საფლავზე პანაშვიდი გადაახდევინეს და შემდეგ მათი მეუფება სადილად წაბრძანდა გარდაცვალებულის კონსტანტინე აფაქიძის სახლში და მეორე დილამდის იქ დარჩა, რადგან წყლებში გასვლა შეუძლებელი იყო.

მეორე დღეს, კვირას, დილის 7 ნახევარ საათზე მათი მეუფება წაბრძანდა თეკლათის დედათა მონასტერში, სადაც უნდა ეკურთხებინა საქალებო სამოევლო სკოლა. აქ სკოლა აკურთხა. სკოლის კურთხევის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ქართულს ენაზე ანდრონიკე სალაყაიამ, მათმა მეუფებამ ამ ახალ დაარსებულ სკოლას შესწირა ასი მანათი და მონოზნებთა გალობის გუნდს თუმანი. სადილი აქ, მონასტერში, მიირთვა და საღამო დროს მათი მეუფება გაემგზავრა ახალ სენაკში და საღამოს 9 საათის მატარებლით ფოთში.

— **ავდრები და მოუსავლობა.** 27 ენკენისთვის შემდეგ ჩვენსკენ სულ ქარი და წვიმებია. 27-დან დაწყებული 3—4 დღე გადუღებლივ სწვიმს. ნაპირიდან მდინარეები გადავიდა და რაც ქალებში სიმინდები იყო წალეკა. შემდეგ მოვიდა საშინელი ქარი და სიმინდები მიწასთან გაასწორა, ე. ი. სიმინდს იმდენი წვიმისაგან ძირი გამოთხრილი ჰქონდა და როცა ნაწვიმარ ძლიერმა ქარმა დაჰქროლა, სიმინდი ზოგი ძირიანათ ამოსთხარა და ზოგიც მიწაზე დააფინა. ამ ძლიერი ქარის შემდეგ კიდევ წვიმა 6 ოქტომბრამდის და სიმინდები მიწაში ჩალპა. ასე რომ შიმშილი ზოგიერთ ქვეყნებსავით ჩვენც გვეწვევა, ეს ეხლავე სჩანს და საშველი არ არის. პურის ყიდვას უნდა შეუდგეთ.

გურულ-მეგრელი

*** **ზემო-იმერეთი. ჭალას მთის საქმე.** ჭალის მთა იმდენათ საყუ-

რადღებო მთა არის ზემო-იმერეთში, რომ არ შეგვიძლია, ჩვენ იგი ხშირ-ხშირად არ მოვიხსენიოთ ხოლმე, რასაკვირველია რამოდენათაც ეს საზოგადოებისთვის საგულისხმო იქნება. წინათ მოვახსენეთ, რომ მემკვიდრე-მონაწილეებისაგან ბევრმა ახალმა საწყალმა გლეხმა კაცმა შეიძინა მონაწილეობა-თქო. მათი რიცხვი (ე. ი. გლეხის საკუთარ შეძენილებისა) სამასზე მეტია, მაგრამ იმისთანა თქვენი დამაწყევარის თავს, მკითხველო, როგორი საქმეც მათ ეხლა ემართებათ. აპეკუნმა და მასთან მისმა „ახლად შერიგებულმა გაიძვერობით გამდიდრებულმა აბლაკატებმა“ გამოუცხადეს საწყლებს, რომ ნება არა გაქვთ ქალის მთაში მონაწილეთ იყოთო, რადგან ამა და ამ „სტატიის“ ძალით „გლეხს არა აქვს უფლება დასახლებული მამულის მფლობელობისა და პატრონობისა“. ეს ნამდვილი ფაქტი გახლავთ, და როგორ მოგწონთ? საწყალ კაცს, რომელსაც ცივი ქადის ჰამით წელები აქვს დახეული, ათი-ოცი თუმანი მოურჩენია, მაგრამ საკუთრება შეუძენია, იმ ფიქრით რომ ვინ იცის, როგორ გამოადგება ჩემ შვილსა და მომავალსაო და თქვენ კი ართმევთ, ამას ვერც სინიდისი მოითმენს და ვერც კანონი. მერე მაშინ, როდესაც სამასავე მონაწილეს ნოტარიუსის წესით კანონიერათ აქვთ ნასყიდი თავ-თავიანთი მონაწილეობა. როგორც ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვეთ, ამ ორ დღეში უნდა დაუმტკიცოს ის შესანიშნავი პირობითი წერილი სამოცი წლისა ქუთაისის უფროსმა ნოტარიუსმა მოიჯარადრესა და ქალის მთის მონაწილეთა შორის, მაგრამ რადგან გლეხებს არ უწერიათ ხელი, ამიტომ არ ამტკიცებსო, როგორც მითხრა ერთმა საპატიო პირმა. იმედია კანონი მაინც წამოექომაგება საცოდავებს და სამას მონაწილეს წყალში არ გადაუყრის თავის ცოდვით ნაოფლარს. ვისაც ყური აქვთ სმენად, ისმინონ...

თანამედროვე

*** **ს. შუქრუთი** (იმერეთი). **საფრთხილო სიძეები.** კარგი მოგცეს ღმერთმა კარგი იღბლიანი ჩვენ შუქრელები ვიყოთ, ჩვენს განათლებაზე ხომ არავინ ზრუნავს და არავინ, ეხლა ერთი სიძე გამოგვიჩნდა, ის ღვთისაგან კურთხეული ცდილობს ეხლა შეადგინოს და კიდევაც შეადგინა კამპანია. მას უნდა სულ ერთიანად ხელ-ალებ გაგვიყიდოს მამული და ჩვენ ბოგანოდ გავხდეთ. ხომ მოგეხსენებათ სოფლის ამბავი, ვისაც ერთი დახეული სერთუკი უშოვია და მასთან თუ „ნიშანის“ რამე ეტყობა, ანუ აქვს!! ამ დალოცვილმა ერთი სხვა მოიყვანა, ამ სხვამ კიდევ სხვა და იმას თურმე სხვა ყავს, ასე რომ ოთხი კაცის ხელში უნდა გაიაროს ჩვენმა მამულმა; ამ ოთხივემ უნდა მოიგონ და არ ვიცი ჩვენ თუ რამე გვერგოს?! ჩვენ ვაფთხილებთ ჩვენს მოძმეებს, არ შესცდნენ და ხელში არ ჩაუვარდნენ ამათანა „სიძეებს“ თორემ დაიღუპებიან, მით უმეტეს რომ რკინის გზის ტარიფის დაკლების შემდეგ შავი ქვის მოთხოვნილება ერთი-ორად იმატებს და ეხლა რომ ფას აძლევენ ერთ საჟენს ერთი აბაზიც არ მოუდის...

კვიმატი

*** **ს. დუმაცხოვი** (ქართლი). **გაუთავებელი დავა.** ს. დუმაცხოვი მდებარეობს მდინარე ფრონის პირათ და შეადგენს ოცდა ათ მეკომურ გლეხს, სამი კომლი თავადით. ს. დუმაცხოვი არის საბატონო და ეკუთვნის თავად კოსტანტინე წერეთელს. ეს სოფელი ბუნებას უხვათ დაუჯილდოებია და ბლომად მიუნიჭებია მისთვის ბლომი და ნოყიერი ადგილ-მამულები, მნახველი იფიქრებს: „აქაური მებატონე და გლეხობა ძალიან მდიდრულათ უნდა სცხოვრობდნენ“ ნო“. მაგრამ ტყუილათ იფიქრებს! დუმაცხოვი არის ზემო ქართლის ერთი უღარიბეს სოფელთაგანი. მიზეზი მისი ასეთი სიღარიბისა არის: ამაყობა, შური, ურთი-ერთმანეთის ქიშპობა და განუწყვეტელი საჩივარი ბატონსა და გლეხთა შორის, რის გამოც გლეხებიც ძალზე არიან გალატაკებულნი და მებატონე კიდევ უარესათ. თითქმის ოცი წელიწადი იქნება, რაც გლეხებსა და ბატონს შორის გაუთავებელი საჩივარია და ორსავე მხარეს აუარებელი ფული ეხარჯება. რა გაამდიდრებთ ან ერთს და ან მეორეთ?! მებატონეა „და თავის შემოსავალს „ადვოკატებს“ ურიგებს, ოღონდ გლეხები ჩემ ნებაზე დავიმორჩილოვო, გლეხები არიან და თავიანთ ნამუშავარს „აბლაკატებს“ ურიგებენ ოღონდაც ბატონს დავჯაბნოთო. მართლაც, რომ ორივე მხარე შესაბრალისნი არიან, სასოწარკვეთილებისა გამო მათ აღარ იციან, თუ რა ქმნან მთავრობა ხან ერთ „წევრს“ გზავნის გამოსაძიებლად, ხან მეორეს, ხან მესამეს და ასე გადის წლები საქმის დაუბოლოვებლად.

მედავითნე სერგო

## † თავ. გრიგოლ ალექსანდრეს ძე თარხან-მოურავი

დაკრძალვის დღე დანიშნული იყო შაბათი 10 ოქტომბერი. დილა ადრიან დაიწყო ხალხმა მოსვლა, ათი საათისთვის შეიკრიბა მრავალი ხალხი. მათ შორის იყვნენ: უგანათლებულესი კნეინა ე. ზ. გრუზინსკისა, ჩვენი პოეტი აკაკი, გვარდიის პოლკოვნიკი თ. რევაზ შალვას ძე ერისთავი, მომრიგებელი შუამავალი თ. გ. ი. თარხან მოურავი, მრავალი გვარი თარხნიშვილებისა, მთელი მაზრის თავად-აზნაურობა ექვსას სულამდის და გლეხ-კაცობა 2,000 სულამდის. ყველა ერთ ნაირათ გლოვობდა თავის საყვარელს ადამიანს და ყველას ეტყობოდა სახეზედ სამგლოვიარო ნიშანი. 11 ნახევარ საათზედ გამოასვენეს მიცვალებული საგვარეულო ეკკლესიიდგან. მღვდელ-მოქმედებას ასრულებდა ყოვ.-სამღვდელო ეპისკოპოსი გორისა ლეონიდი, ყველა მღვდლების თანადასწრებით. წინ მიუძღოდა მიცვალებულს ახალ-გაზდობა, რომლებსაც მიჰქონდათ ძვირფასი გვირგვინები. გვირგვინები იყო ქ. ახალ-ქალაქიდგან ორის დეპუტატით, მეგობრებისგან ი. ლაფეროვისა. ი. მაჩაბლისა, დ. მუსხელაშვილისა, ა. ქანანოვისაგან, დ. ქანანოვისაგან, ზ. აზარიევისაგან, ი. ყაზბეგისაგან, ა. ბერიძესაგან, გ. არდაზიანისაგან, ა. ალასიკოვისაგან, ა. მამაცაშვილისაგან, ი. ალხაზოვისაგან, გ. ქანანოვისაგან და სხ.; ახალ ქალაქის მაზრის მემამულეთაგან, მოწაფეებისაგან, თარხნიანთ გვარისაგან, დისაგან, ძმებისაგან და სხვებისგან. გარდა ამისა იყო გვირგვინები ცოცხალი ყვავილებიდან, რომლებსაც არ ეტყობოდა ვისგან იყო. მიცვალებული წაასვენეს ერთაწმიდის ტაძრისკენ, სადაც უნდა ყოფილიყო დაკრძალული. მთელი ორი ვერსი გზა ყვავილებით იყო დაფენილი. ამინდიც კარგი იყო. დიდი გალავანი ერთა წმიდის ეკკლესიისა და თითონ ტაძარიც ხალხით.აივსო ყველა ცდილობდა შესულიყო ტაძარში და მონაწილეობა მიეღო გლოვაში. წირვა გავრძელდა 1 საათამდის, შემდეგ პარაკლისის და ანდერძის აგებისა სიტყვა უთხრა მიცვალებულს თავ. ნ. ლ. თარხან მოურავმა, ახალ ქალაქის გლეხმა მოსე ტერ-მარქაროვმა, ჩვენმა პოეტმა აკაკიმ, მასწ. თ. ზ. გ. ჯავახიშვილმა და წაკითხულ იქმნა ლექსი თ. რევაზ იასონის ძე ერისთავისა. საჭიროთ ვრაცხ მოკლეთ მოვიყვანოთ შეძლებისამებრ ყველა ეს სიტყვები, რომლებიც კარგათ გვიმტკიცებენ განსვენებულის ღირსებას.

აი თვით სიტყვა, თქმული თავ. ნ. ლ. თარხან-მოურავის მიერ:

„ძვირფასო ძმაო, კარგო მეგობარო, ერთგულო ამხანაგო და კეთილ-სინდისიანო მოსამსახურე მუშაკო! ბევრი არ ყოფილა შემოსილი ბ-ბო ამ არა ფარისევლებისაგან შეკერილი სამოსლით! ბევრს არ მოუტანია სამარემდინ ეს კაცობრიობის სახის დამამშვენებელი და გამასპეტაკებელი სამოსელი, ბევრის კაცურ სახეს არ აცისკროვნებს, არ ასპეტაკებს, და არ სცემს ნათელს ეს სიტყვები ისე როგორც შენ ყოველ შემთხვევაში პატიოსანო და კარგო გიგო! ვწუხვართ და ვტირით იმას, რომ ასე უეცრათ გამოგვტაცა ხელიდან შეუბრალებელმა და ცივ გულა სიკვდილმა ის კეთილ-სანატრელი მეგობარი, რომელიც ღირსეულათ შეგმოსა ყველა შენ კეთილ-სვინდისიანმა ნაცნობებმა ამ სიტყვებით. ვწუხვრთ რომ ჩვენი ხალხით გაღარიბებული წრე სამუდამოდ მოშორდა შენისთანა მოსამსახურე მუშაკს.

განა ამ ღირსებით არ დაიმსახურე ის სიყვარული, ის პატივისცემა იმ ხალხისა, რომელსაც შენ ემსახურებრდი და რომლის გულშიაც შენი პატიოსანი სახე ღრმათ იქნება ძეგლათ ამოჭრილი. საზოგადო ასპარეზზე გამოსული კაცის მოქმედებას ორი რიგი იარაღი აქვს შესაწონებლათ, ერთი ის თუ როგორ ემსახურა, როგორ უწინამძღვრა ეს თავის ერს, რა ახალი კვალი გაუკვლია ცხოვრებაში კაცობრიობისა და მეორე ის თუ როგორ ემსახურა ეს იმ პატარა წრეს, რომელიც ამას წილად ხვდა თავის ძალ-ღონეს შეძლების გვარად; თუ აქ განსვენებულის გვამის მოქმედებას შევუწონავთ ამ პირველ იარაღს, მაშინ, რა თქმა უნდა, არა გვეთქმის-რა, მაგრამ თუ ამ ჩვენს დაცემულ და დაძაბუნებულ დროს ღირსეულად და უტყუვრად დავაფასებთ იმ მუშაკით მოქმედებას, რომლის მოქმედებაც ბუნებისა და გარემოების ძალით არის შეზღუდული, მცირე ფარგლით შემოფარგლული, რომელსაც ამ ფარგალში ღირსეულათ, შეურყევლათ მოუტანია სამარემდინ ეს ტვირთი, რომელიც ამის ბედმა და გარემოებამ არგუნა, მაშინ შენზედაც ბევრი კარგი ითქმის, ჩვენო კარგო და ტკბილო გიგო! დიახ, ბატონებო, მეომარი განა მარტო ის არის, ვინც ერთი თუ ასი შეტევით ათას და ათი ათასი მტერს დასცემს ძირს; ეს ბუნებისაგან დაჯილდოვებული, განებივრებული გმირია; მეომარია აგრეთვე ის, ვინც შეურყევლად მტკიცეთ ადგას იმ კაცობრიობის დასამშვენებულ კვალს, რომელიც არის გაკაფული ხალხის გმირებისაგან. მართალია, ხალხის იდეალია ის, რომელსაც ესმის ხალხის გულ-საკლავი კვნესა და უმზადებს მალამოს ხალხის გულის იარებს. მაგრამ ძვირფასია აგრეთვე ის მუშაკიც, რომელიც ამ მალამოს დროზე მიაწოდებს იმ

მცირე ნაწილს საზოგადოებისას, სადაც ის მოქმედებს. განა სიამაყით არ შეგვიძლიან ვუთხრათ საზოგადოებას, რომ ჩვენი მოძმე, ჩვენი გვარის კაცი ამ ღირსებით იყო შემკურვილი და ამ ღირსებით ცხოვრებისაგან ტანჯულ-ნაწამებს ვაბარებ შავ მიწას.

განისვენე მშვიდობით პატიოსანო გვამო, ბევრი დრო მოვა, რომ სხვა შენისთანა გიგოს ვერ ნახვენ შენი ნაცნობები. განისვენე მშვიდობით პატიოსანო მუშაკო, ის ნათელი, რომელიც დღეს აგრე ნათელსა სცემს ჩვენგან შენ წმიდა საფლავს, კაი გზის მაჩვენებელი იქნება შენი ნაცნობებთათვის.

გეთხოვებით ძვირფასო გიგო, და ვნუგეშობთ იმით რომ ისედაც ნათლად, პირ-ღიმილით წარდგები მსაჯულის წინ იმ სამოსლით, რომლითაც შენმა კაი ნაცნობებმა შეგმოსეთ, როგორც პირნათლად არის ამოჩუქურთმებული, ღრმად ამოჭრილი შენი პატიოსანი სახე ჩვენ გულში. (გაგრძელება იქნება)

კ. ხერხეულიძე

## სასამართლოს მატიანე

**ჟანდარმის ცოლის მკვლელის საქმე.** როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ტფილისის ოლქის სასამართლომ უკვე განიხილა და მიუსაჯა სამსონ მაღალოვს და გიორგი ფხაკაძეს რვა-რვა წელიწადი კატორღაში მუშაობა. ამათ ჰბრალდებათ: გაძარცვა, დაჭრა სხვადა-სხვა პირებისა და მოკვლა ამ წლის დამდეგს ჟანდარმის ცოლის ოზეროვისა. ამ განაჩენის თანხმა არ გახდა გიორგი ფხაკაძე და საჩივარი გადიტანა სამოსამართლო პალატაში. ამავე დროს მაღალოვმა ბრალმდებელს თხოვნა მიართვა, რომელშიაც განმარტა, რომ იგი სრულიად კმაყოფილია ოლქის სასამართლოს განჩინებისა, მხოლოდ გულ-წრფელად გიცხადებთო. რომ ოზეროვის ცოლის მკვლელობაში ჩემთან ფხაკაძეს მონაწილეობა არ მიუღია, არამედ ჩემთან იღებდა მონაწილეობას ვიღაც გამყრელიძე. თანხმად ამ განცხადებისა ბრალმდებელმა გამყრელიძე სამართალში მისცა და მთელი საქმე გამომძიებელს გარდასცა ხელ-ახლად გამოსაძიებლად.

## სამეცნიერო ცნობა

მუსიკა, როგორც სამკურნალო საშუალება.*) რომ მუსიკა ავადმყოფს სნეულობას უსუბუქებს და ზოგიერთ კიდეც სრულიად არჩენს, ამას კიდევ ერთი გამოჩენილი ექიმი, შნეიდერი ამტკიცებს. ოსტენდში ერთი ზღვაოსანი სცხოვრობდა, რომელიც რამოდენიმე წელიწადი „დამოენის“ ნება რთვის აუღებლად სხვა და სხვა ნივთებს აპარებდა. ამ ხელობაში დიდი ხანი იყო და ვერაფერს უგებდნენ: ერთხელ ბედმა უმტყუნა და დამოენის დარაჯებმა მოასწრეს, დაიჭირეს და სამართალში მისცეს, სასამართლომ დამნაშავე დააპატიმრა. როდესაც პატიმრობის ვადა შეუსრულდა და განთავისუფლდა, ჭკუაზედ შეიშალა. დაწვებოდა ტახტზედ და დაჭყეტილის თვალებით და მაღალის ხმით მღეროდა, როდესაც დაეკითხებოდნენ რასმე, ზღვაოსანი თავისავე ახირებულის სიმღერით უპასუხებდა. სამკურნალოს ექიმი ძალიან მოწიწებით ექცეოდა და უფრთხილდებოდა ავადმყოფს, მაგრამ ვერა გააწყორა. როდესაც ექიმს შნეიდერს მიმართეს, მაშინვე ექიმმა რამოდენიმე მეზღვაურთა მუსიკოსები მოაყვავინა. როდესაც მუსიკა დაუკრეს, მაშინვე ავადმყოფმა თვალებში მოიხედა, სხეულმა მოძრაობა დაუწყო სალი ადამიანივით, თავი ვეღარ შეიკავა, წამოხტა ავადმყოფი და ცეკვა დაიწყო. შემდეგ ღრმად დაეძინა და მეორეს დღეს სულით ავადმყოფი სრულიად განიკურნა.

რასაკვირველია, მუსიკის ხმა ყველა ავადმყოფზედ ერთ გვარად არა მოქმედობს; ზოგიერთ შემთხვევაში ბევრი იმისთანა პირნი არიან, რომლებსაც სისაღეშივე სძულთ მუსიკის ხმა; როცა ავადა ხდებიან, ამათზე მუსიკა სასარგებლო კი არა, უფრო გონებიდგანა რევს ავადმყოფს და აღელვებს. აი რა შემთხვევას მოგვითხრობს მეცნიერი ექიმი გოლლიკაი, რომელიც ლონდონის სამკურნალოს დირექტორად იყო. სამკურნალოში მიიყვანეს ერთი მდიდარი ინგლისელის შვილი, რომელიც ჭკუაზედ იყო შემცდარი. ექიმმა გოლლიკაიმ მუსიკას მიმართა, როგორც სულით ავათმყოფების გასაკურნი საშუალება, ამ ჟამად გამოჩენილი სკრიპკის დამკვრელი პაგანინი ლონდონში იმყოფებოდა. ექიმმა მიიწვია იგი და სთხოვა, სასიამოვნო ჰიმნები დაეკრა. პაგანინმა ისეთის გატაცებით დაუკრა სკრიპკა, რომ მგონია, თვით უსულო საგნებიც კი სმენად გარდაიქცნენ. სულით ავადმყოფზედ მეტათ ცუდი გავლენა იქონია, იგი აღელდა, სრულიად დაიღრიჯ-დაიღმიჭა და მრისხანედ ზეზედ წამოდგა, გაიქცა სკრიპკის დამკვრელის პაგანინისაკენ და თუ იქ მოსამსახურე პირნი არ შესწრებოდნენ, ნამდვილად დაახრჩობდა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ავადმყოფს არც კარგად ყოფნის დროს ჰყვარებოდა სკრიპკის ხმა და საზოგადოდ ყველანაირი მუსიკისა.

(დასასრული იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 651.

## ყურმოკრული საუბარი

ერთი არაყის ღოთი მივიდა ექიმთან და შესჩივლა:

— რა ვქნა, ბატონო, თვალებში რაღაცა მელანდება და დღე და ღამე მოსვენებას არ მაძლევს?

— რა სახით გელანდებათ?

— ვირის სახით ბატონო.

— ნუ შეგეშინდებათ. სიმთვრალეში თქვენი ჩრდილი გინახავთ და იმას შეუშინებიხართ.

## გამოსადეგი ცნობა

ნავთის გამოკეთება. შეიძლება ნავთი ისე გადააკეთოს კაცმა, რომ თვისებური სუნი დაჰკარგოს და ნავთი ისევ ისეთი ღირსებისა დარჩეს, როგორც წინათ იყო, უნდა აიღოთ ოთხი „შტოფი“ (საარაყე ჭურჭელი). ნავთი შიგ უნდა დაურიოთ $23^1/_2$ მისხალი სამხატვრო ცარცი. (хлорная известь, бѣлильная земля) ან კიდევ შეიძლება ამის მაგიერ „კალცია“. (კალცია ქიმიური სხეულია, რომელიც წყალში რომ ჩაურიოთ, სხვა და სხვა ნაწილებათ ხსნის) რა წამს ერთმანერთში გაურევთ, უნდა ჩქარ-ჩქარა ურიოთ, შემდეგ სხვა ჭურჭელში უნდა გადაასხათ, როცა კარგად დაიწმინდება, უნდა გადმოწუროთ და მიიღებთ ნავთს, რომელსაც სუნი სრულიად დაკარგული ექნება და თვისებას კი არავითარი ცვლილება არ მიეცემა.

## სხვა-და-სხვა ამბავი

არა ჩვეულებრივი წესდება სამიკიტნოში. ლონდონში ერთ ადგილას არის მეტად უცნაური სამიკიტნო. შეხედულობით ეს სამიკიტნო განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს. შიგნითაც შენობა აგრეთვე არაფრით არის საყურადღებო, მაგრამ სამიკიტნო ძალიან შესანიშნავია: იქ შემსვლელთ ერთი ჭიქა ღვინის ან ლუდის მეტი არ ეძლევათ, და კედელზე გაკრულია განცხადება: 1) მთვრალ კაცს, მარტო იქნება იგი თუ სხვებთან ერთად არაფერი არ მიეცემა. 2) არას გზით ერთჯერ მეტად ეგზავნება სასმელი ერთ კაცს ანუ ერთ საზოგადოებას, რადგანაც წესდება მოითხოვს, რომ თვითეულმა, რაც უნდა იყოს, ნახევარი საათი მაინც უნდა მიატოვოს სამიკიტნო, მანამ მას ხელმეორედ მიართმევენ რასმე. 3) მიცემული სასმელი არ უნდა აღემატებოდეს „კრუჟკა“ ღვინოს ანუ ლუდს, ან ჭიქა ლიკერს ჯერზე ერთ კაცზე. 4) ხმა-მაღლა მოლაპარაკე პირთ ანუ თუ იგი არა საკადრისად და უზრდელად იქცევა, არაფერს არ აძლევენ. 6) თამბაქოს წევა აღკრძალულია. რა დროსაც უნდა იყოს და რა გარემოებითა.

ქვემოთ მოწერილი აქვს სამიკიტნოს პატრონის შენიშვნა: „რადგანაც სამიკიტნოს პატრონი თავის ნებადა სთვლის, რომ ვაჭრობა თავის მოსაზრებით აწარმოვოს, ამისათვის იგი სთხოვს მათ, ვისაც არ უნდა ამ წესდებას დაემორჩილოს, ნუ შევლენ ამის სამიკიტნოში.

მ. კიკნაძე

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ოქტომბერი

**ვენა.** ავად გახდა მეორე მომვლელი ქალი, რომელიც ლაბორატორიის გარდაცვალებულს მსახურს უვლიდა ავადმყოფობის დროს.

**სტამბოლი.** სულთანმა მიაცილა იმპერატორი და იმპერატრიცა კაიკამდე. სულთანი და იმპერატორი მეგობრულად გამოეთხოვნენ ერთმანეთსა. იმპერატორმა უფეშქეშა სულთანს ოქროს ჯოხი ფრიდრიხ დიდის ჯოხის მგზავსად გაკეთებული ჯოხი და შესწირა ფული, შადრევანისთვის, რომელიც იმისავე გეგმით იქმნება გაკეთებული.

**ვენა.** მკურნალი მილლერი, რომელიც შავის ჭირით ავად გახდა გარდაიცვალა.


# სხივი წარსულისა

ისტორიული ამბავი, დაწერილი ყმაწვილებისა და ხალხისათვის იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოვიდა და ისყიდება მაღაზიებში. წმინდა შემოსავალი ამ წიგნისა მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება მცხეთის ტაძრის განსაახლებლად. ისყიდება: ტფილისში—წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში—ბეჟანიშვილთან, წერეთელთან და ხეთერელთან, ახალ-სენაკში, ოზურგეთში და ბათომში—თავართქილაძესთან. (6—2)